



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 5
25/01/2019

5-09-4-201901252012



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან

დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.

1. საკრებულოს აპარატს დაევალოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2019 წლის 20 თებერვლამდე.
3. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი საკრებულოს წქრედგინოს დასამტკიცებლად - 2019 წლის 28 თებერვლამდე.
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლიქ მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

გიგა ორკოდაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

